

თემა 10.

10.1. სემანტიკა

სემანტიკა არის ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელიც იკვლევს ენობრივი ნიშნის და ნიშანთა კომპლექსის მნიშვნელობას, ანუ მიმართებას აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის.

სემიოტიკაზე საუბრისას, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნიშნის არსებითი თავისებურება მის „სემანტიკურობაში“ მდგომარეობს – რაიმე ფენომენს (ვთქვათ ბგერით ან გრაფიკულ ერთიანობას) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვუწოდოთ ნიშანი, თუ მას მნიშვნელობა გააჩნია, თუ მისი მეშვეობით რაიმე სახის ინფორმაციის გადაცემა არის შესაძლებელი. შესაბამისად, ნებისმიერი სემიოტიკური (მათ შორის ენათმეცნიერული) თეორიის ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანა მნიშვნელობის ფენომენის შესწავლა უნდა იყოს.

მიუხედავად ამისა, სემანტიკის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა: სემანტიკის, როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინის საკითხი დღემდე სადაოდ რჩება. ეს განპირობებულია თვითონ მნიშვნელობის ფენომენის სხვადასხვა სახის თავისებურებებით:

- ⌋ სემანტიკას სინტაქსის, მორფოლოგიის ან ფონოლოგიისგან განსხვავებით, შეხება აქვს მნიშვნელობასთან ანუ ნიშნის **არამატერიალურ** მხარესთან.
- ⌋ მნიშვნელობის ცნება მრავალ ასპექტს მოიცავს. სხვადასხვა სემანტიკური თეორიის მიხედვით ის შეიძლება გულისხმობდეს:

- კონცეპტს, ცნებას ან წარმოდგენას, რომელიც შესაბამის ენობრივ ნიშანთან ან ნიშანთა კომპლექსთან არის დაკავშირებული;
- საგანს ან მოვლენას, რომელზეც ენობრივი ნიშანი მიუთითებს (რეფერენციული ფუნქცია);
- ენობრივი ნიშნის სოციალურ-კომუნიკაციურ ფუნქციას და სხვ.¹

ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელის მიხედვით, ენათმეცნიერული სემანტიკის კვლევის სფერო მოიცავს მხოლოდ ნიშნის კონტექსტისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობას და ასევე სემანტიკური მიმართებები სხვადასხვა ენობრივ ნიშანს ან ნიშანთა კომპლექსს შორის.

ენობრივი ნიშნის კომუნიკაციურ ფუნქციას, ან მის მიმართებას ენობრივ თუ გარეენობრივ კონტექსტთან სწავლობს ენათმეცნიერების სხვა დარგი, რომელსაც პრაგმატიკას უწოდებენ. თუმცა სემანტიკის და პრაგმატიკის კვლევის გამიჯვნა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.

თანამედროვე სემანტიკური კვლევის საფუძვლებს ჩვენ ვხვდებით ფილოსოფიაში, სადაც მნიშვნელობის ფენომენის რეფლექსიას, მასზე მსჯელობას ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს (ჯერ კიდევ პლატონთან, „კრატლის“ დიალოგში ვხვდებით თანმიმდევრულ სემანტიკურ თეორიას). სემანტიკური საკითხების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს ასევე ლოგიკაში, თეოლოგიაში (ბიბლიის ინტერპრეტაცია), ლიტერატურათმცოდნეობასა და პოეტიკაში (ტექსტების ინტერპრეტაცია), ასევე ლექსიკოგრაფიასა და თარგმანთმცოდნეობაში. ტრადიციულ გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც შეგვიძლია მივაგნოთ კონცეფციებს ენობრივი ნიშნის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა ისინი სისტემატურობას და თანმიმდევრულობას მოკლებულნი არიან და შესაბამისად სემანტიკურ თეორიებად ვერ მივიჩნევთ.

¹ ლინკე და სხვ. მიუთითებებენ ასევე ერთ მნიშვნელოვან სირთულეზე: სემანტიკური კვლევისას ყველაზე მეტად იჩენს თავს ენათმეცნიერებისთვის დამახასიათებელი პრობლემა – რომ ბუნებრივ ენაზე საუბარი მხოლოდ ბუნებრივი ენის საშუალებით არის შესაძლებელი: *Eine Rose ist eine Rose ist eine Rose...*

მნიშვნელობის ფენომენის ნამდვილი ენათმეცნიერული კვლევა პრაქტიკულად XIX საუკუნიდან იწყება. სემანტიკის განვითარება დაკავშირებული იყო ენის ისტორიის კვლევასთან, სადაც შესწავლის მთავარი ობიექტი იყო ეტიმოლოგია, – სიტყვის წარმოშობისა და მისი მნიშვნელობის ცვალებადობის ისტორია. ენის სემანტიკურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასევე დიალექტოლოგიაში: დიალექტოლოგია სწავლობს რეგიონალურ განსხვავებებს როგორც მორფოლოგიური და ფონოლოგიური, ისე ლექსიკური თვალსაზრისით. ენობრივი ნიშნის კვლევის დიალექტოლოგიური მეთოდი *ონომასიოლოგიური* ხასიათის იყო: აინტერესებდა საგნის ან ფენომენის მიმართება მის დასახელებასთან (ონომასიოლოგიური კვლევისთვის ამოსავალი არის საგანი ან ფენომენი და შემდეგ მისი ენობრივი გამოხატულება).

თუმცა ნამდვილი სემანტიკური კვლევა ძირითადად *სემასიოლოგიური* ხასიათისაა: სწავლობს აღმნიშვნელის მიმართებას აღსანიშნთან (სემასიოლოგიური ამოსავალია ენობრივი ნიშანი, და შემდეგ ფენომენი, რომელსაც ის აღნიშნავს). სემასიოლოგიის განვითარება დაკავშირებულია სტრუქტურალიზმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ კომპონენტურ (კომპონენციალურ) სემანტიკასთან: ამ სემანტიკური თეორიის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობა შედგება უმცირესი კომპონენტებისგან, სემებისგან, რომელთაც აქვთ დისტინქციური, მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია (მაგ. სიტყვა *ბიჭი* სიტყვა *გოგოსგან* სემანტიკურად განსხვავდება კომპონენტით 'მამრობითი', სიტყვა *კაცისგან* კომპონენტით 'არასრულწლოვანი' და ა.შ.) კომპონენტური სემანტიკის მიხედვით ამგვარი დისტინქციური ნიშნების მეშვეობით (იდეალურ შემთხვევაში) შესაძლებელია სიტყვების ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია (განსაზღვრა), რომელიმე ნიშანთა სისტემის სრულყოფილი აღწერა.

კომპონენტური სემანტიკის ალტერნატივა არის პროტოტიპების სემანტიკა, რომლის მიხედვითაც ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა განისაზღვრება არა კომპონენტთა ერთობლიობით, არამედ მისი მიმართებით პროტოტიპთან –

რომელიმე კატეგორიის იდეალურ წარმომადგენელთან. (ვთქვათ კატეგორია Vogel ანუ ფრინველის იდეალური წარმომადგენელი შეიძლება იყოს ბელურა ან მტრედი, ვუწოდებთ თუ არა რომელიმე არსებას V(ო)ბელ -ს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გავს ის კატეგორიის ამ წარმომადგენლებს).

10.2.სოციოლინგვისტიკა

ენის გამოყენება მუდამ ემყარება გარკვეულ წანამძღვრებს: ენა შვილებს გადაეცემთ მშობლებიდან, გარშემომყოფთაგან, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ, სოციალურ და გეოგრაფიულ სიტუაციაში, ანუ პირობებში იმყოფებიან. Yმაგრამ ყოველი მომდევნო თაობა დედაენას შეისწავლის უკვე შეცვლილ, მოდიფიცირებულ პირობებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ამავე დროს თვით კომუნიკაციის პარტნიორების როლების ურთიერთმიმართება. მაგ: საკომუნიკაციო აქტებიდან ჩანს, თუ როგორ როლს ასრულებენ კომუნიკაციის პარტნიორები, იგივე კომუნიკანტები, როგორ ურთიერთმიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან: მაგ. მოსწავლე ჩვეულებრივ მიმართავს მასწავლებელს თქვენობით (Sie-Form, Siezen). იგი ვერ მიმართავს მასწავლებელს შენობით (Du-Form, duzen), მაშინ როცა ეს მიღებულია მასწავლებლის მხრიდან. თუ ენას მეტად ფართო გაგებით განვიხილავთ ენის გამოყენების სწორედ ამ შემზღუდავი თვალსაზრისით, მაშინ საკითხის ამგვარი დასმა *სოციოლინგვისტიკისთვის* იქნება დამახასიათებელი.

სოციოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ენის გამოყენების სოციოლოგიურ ასპექტებს იკვლევს. სოციოლინგვისტიკა ემყარება შეხედულებას, რომ ენა სოციალური ფენომენია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის კომუნიკაციის საშუალებაა და ენის გარეშე სოციალური ქმედება წარმოუდგენელია; არამედ იმიტომაც, რომ ენა სოციალურად დიფერენცირებულია, დანაწევრებულია, რადგან ნებისმიერ სოციალურ ჯგუფს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკური მარაგი და

მეტყველების წესები თუ ნორმები გააჩნია: სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის, სოციალური წრის ადამიანები სხვადასხვანაირად მეტყველებენ.

ეს თავისებურებები ერთი მხრივ არის სხვადასხვა სახის სოციალური გამოცდილების შედეგი, მეორე მხრივ განაპირობებს ინდივიდის რომელიმე სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას (თვითშეცნობას, გაიგივებას) ან პირიქით - დისტანციას: ინდივიდის ინტეგრაცია, მისი ჩართულობის ხარისხი ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ხშირად დამოკიდებულია იმაზე, მეტყველებს თუ არა ის შესაბამისი ჯგუფის წევრების მსგავსად ანუ მეტყველებს თუ არა ის იმგვარად, როგორც მისი სოციალური ფენის წარმომადგენლები მეტყველებენ.

ცვლილებები ცალკეული ინდივიდის მეტყველებაში ხშირად ასევე სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული: ჩვენს მეგობრებთან სხვა სამეტყველო ფორმებს ვირჩევთ, ვიდრე პროფესორთან საუბრისას, ჩვენზე ბევრად უფროსებთან სხვანაირად ვმეტყველებთ ვიდრე ჩვენს თანატოლებთან ან ჩვენზე უმცროსებთან და სხვ.

ამრიგად, თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ, სოციოლინგვისტიკა იკვლევს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ მეტყველებას - **სოციოლექტებს**, ან უფრო თანამედროვე ტერმინით **ვარიანტებს (Varietäten)**, ენისა და სოციალური რეალობის ურთიერთმიმართებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ სოციოლინგვისტიკა იკვლევს თუ რამდენად ეხმარება ინდივიდს ენა სოციალურ ინტეგრაციაში (ანუ საზოგადოებაში ჩართვაში), ან რამდენად განაპირობებს ენა სოციალურ იდენტიფიკაციას, თვითშეცნობას (მისი სამეტყველო ქცევის დამოკიდებულებას სოციალურ ფაქტორებზე - მაგალითად, ოფიციალურ ან არაოფიციალურ გარემოზე). სოციოლინგვისტიკა არა მხოლოდ შინაარსობრივად ენათესავება სოციოლოგიას, რადგან ის ენას სოციალურ ფენომენად განიხილავს, არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც: სოციოლინგვისტიკაც ემპირიულ კვლევაზეა ორიენტირებული, სწავლობს კონკრეტულ ენობრივ რეალობას კონკრეტულ ენობრივ საზოგადოებაში.

მოსახლეობის გამოკითხვის სხვადასხვა ტექნიკაც და ასევე ე.წ. “participant observation”² სოციოლოგიიდან არის აღებული.

სოციოლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება განპირობებულია მე-20 საუკუნის 60-70იანი წლების პოლიტიკური სოციალური და ეკონომიკური ტენდენციებით. 1968 წლის საპროტესტო გამოსვლებმა გერმანიაში, სოციალური საკითხების წინ წამოწევამ, მოთხოვნებმა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერების კვლევის შედეგები ერთგვარი თვით იზოლაციისგან განთავისუფლებულიყო და უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეეძინა, უფრო აქტუალური გამხდარიყო, განსაზღვრეს ენათმეცნიერების ინტერესს ენის სისტემური აღწერის ნაცვლად მისი ყოველდღიური გამოყენების, სოციალურად მნიშვნელოვანი ენობრივი პრობლემების მიმართ.

გარდა ამისა, ეკონომიკურმა წინსვლამ, მოთხოვნილების გაზრდამ ახალი სამუშაო ძალების მიმართ, სპეციალისტების ნაკლებობამ საჭირო გახადა, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს თანაბარი სამუშაო პერსპექტივა ჰქონოდათ. დაბალი სოციალური ფენების, განსაკუთრებით კი ე.წ. მესამე ანუ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებიდან შემოსული სამუშაო ძალის “გასტარბეიტერების” (Gastarbeiter) ინტეგრაციის მთავარ დაბრკოლებად ენობრივი ცოდნის ნაკლებობა მიაჩნდათ. შესაბამისად არსებობდა მოლოდინი, რომ ამგვარი ენობრივი ბარიერების პრობლემა ენათმეცნიერების საშუალებით მოგვარებულიყო.

ამიტომ სოციოლინგვისტიკის განვითარების ე.წ. “კლასიკურ, (საწყის) პერიოდში” ენა აღქმული იყო, როგორც ამა თუ იმ სოციალური ფენის, კლასის ცხოვრების პირობების გამოხატულება: მაღალი ან საშუალო ფენის მეტყველება დაპირისპირებული იყო დაბალი სოციალური ფენის მეტყველებასთან. ეს ტენდენცია კარგად ჩანს ინგლისელი სოციოლოგის **ბეიზილ ბერნსტაინის** “დეფიციტის თეორიაში”.²ამ

² მეთოდი, რომლის მიხედვითაც მკვლევარი მონაწილეობას იღებს საკვლევი სოციალური ჯგუფის ინტერაქციაში.

თეორიის მიხედვით დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ბავშვები სოციოკულტურულთან ერთად განიცდიან ენობრივ დეფიციტსაც, რაც განაპირობებს მათ ჩამორჩენას სწავლაში და შედეგად ნაკლებ შანსებს სამომავლო კარიერაში. საშუალო და მაღალი წრიდან წამოსული ბავშვებს უფრო უადვილდებათ ადაპტაცია ენობრივ და სოციალურ გარემოსთან და შესაბამისად, უკეთესი სამომავლო შანსები აქვთ. ბერნსტიანი განასხვავებდა ენის გამოყენების ორ ტიპს: რესტრიქციულ (შეზღუდულ) და ელახორირებულ (დახვეწილ) სოციალურ კოდს (რაც სხვადასხვა (ლექსიკურ, სინტაქსურ, არგუმენტაციულ დონეზე ხორციელდება) რამდენადაც ელახორირებული კოდის ცოდნა სამომავლო კარიერულ წინსვლასა და სოციალურ ინტეგრაციაში გადამწყვეტი როლი ენიჭება, ბერნსტიანი აუცილებლად მიიჩნევდა დაბალი სოციალური წრის ბავშვებისთვის ე.წ. კომპენსაციური ენის გაკვეთილების შემოღებას.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე დამოკიდებულება ენის სოციალურად რელევანტური ასპექტების მიმართ მკვეთრად შეიცვალა. თუ ე.წ. “კლასიკურ ფაზაში” უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა “სოციალურ ფენას”, “კლასს”, თანამედროვე სოციოლინგვისტიკა იკვლევს ასევე სხვა გარეენობრივი ფაქტორების გავლენას მეტყველებაზე: მაგალითად: ასაკობრივი, გენდერული პროფესიული, პოლიტიკური, რელიგიური ჯგუფების “ენებს”, ან ცალკეული ინდივიდის სოციალურად განპირობებულ ენობრივ ქმედებებს: რით არის გამოწვეული ის, რომ სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში სხვადასხვა სამეტყველო ფორმებს ვირჩევთ და ა.შ.

10.2. ფსიქოლინგვისტიკა

ენის ფლობა ან ენის შესაწავლა/შეძენა(**Spracherwerb**) ისევე როგორც ენის/ მეტყველების უნარის დაკარგვა, მაგალითად ტვინის ტრამვის შედეგად, გარკვეულ ფსიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული. ეს ეხება როგორც დედაენას ასევე უცხო

ენებს. ეს პირობები გარკვეულწილად დამაბრკოლებელ ან დამაჩქარებელ ფაქტორებად გვევლინებიან. ასე მაგ. შვილები ენის შესწავლის დროს მუდამ ენის ათვისების მსგავს სტადიებს გადიან, როგორც მათ მშობლებს აქვთ გავლილი. მმაგრამ ამავე დროს, ეს თავის მხრივ სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული, რაც დროით ანუ მისი ცვლილებით არიან განპირობებულნი. ცნობილია, რომ ტყუპები უფრო გვიან სწავლობენ ენას, ვიდრე დედისერთები. ანალოგიური მდგომარეობა არის ბილინგვიზმის დროს, როცა ბავშვი ერთდროულად ორ ენას ეუფლება – ისიც უფრო გვიან სწავლობს ლაპარაკს. ის ფაქტი, რომ ჩვენ ენას, უპირველეს ყოვლისა როგორც **დედაენას ვიძენთ (Spracherwerb)**, განაპირობებს ჩვენს პოზიციას გარესამყაროს მიმართ, გავლენას ახდენს ჩვენს ცნობიერებაზე, მართავს მას. ენის ამ ასპექტების ქვეშ განხილვა *ფსიქოლინგვისტიკის* ობიექტს წარმოადგენს.

ენობრივი ფენომენები ფსიქოლოგიურ პროცესებთან უშუალოდ არიან დაკავშირებული. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებას გადავხედავთ – ყოველთვის, როდესაც ენის შესახებ ვსაუბრობთ, საქმე გვაქვს ცნებებთან, რომლებიც სხვადასხვა ფსიქიკურ ფენომენებზე მიუთითებენ: **ჩვენ ენა შესწავლილი** გვაქვს; **ვიცი**, რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა; ნასწავლი სიტყვები შეიძლება **დაგვავიწყდეს**; ენის საშუალებით გამოვხატავთ **ემოციებს** ან გამოვთქვამთ **აზრებს**, რომლებიც სხვებს მეტ-ნაკლებად კარგად **ესმით**.

ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ენისა და ფსიქიკის ურთიერთმიმართებას, ენის გამოყენების ფსიქოლოგიურ ასპექტებს სწავლობს, **ფსიქოლინგვისტიკა** ეწოდება. ის იკვლევს:

-) ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომლებიც **ენის შესწავლას**, ენობრივი ცოდნის შეძენასა და ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად.
-) **ენობრივ ცოდნას** – როგორ არის მენტალურად წარმოდგენილი ენობრივი ცოდნა, ენობრივი ინფორმაციები. რა მიმართებაშია სხვადასხვა სახის

ენობრივი ინფორმაცია ერთმანეთთან. რამდენად არის ენობრივი ცოდნა დაკავშირებული არაენობრივ ცოდნასთან.

ქ) *ენობრივ პროცესებს* – რა ფსიქოლოგიური მექანიზმი უდევს საფუძვლად ენის პროდუქციასა და რეცეფციას (აღქმას); ადამიანის უნარს, წარმოქმნას და გაიგოს უსასრულო რაოდენობის წინადადები.

ფსიქოლოგიზმის მიმართულების ფუძემდებელი ენათმეცნიერებაში ჰერმან პაული (1846-1921) ენათმეცნიერებას ცალსახად ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მეცნიერებად მიიჩნევდა. იგი ენათმეცნიერებას ფსიქოლოგიის სხვა მიმართულებებთან შედარებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომლებიც ენის გამოყენებას უდევს საფუძვლად, განსაკუთრებული სიმარტივით გამოირჩევა. სწორედ ეს განაპირობებს სხვადასხვა ინდივიდისთვის ენობრივი პროცესის იდენტურობას. აქედან გამომდინარე, ჰერმან პაული მიიჩნევდა, რომ ენათმეცნიერების მიზანი არის იმ ზოგადი ფსიქოლოგიური კანონზომიერების აღწერა, რომლებიც ადამიანის ენობრივ ქმედებას უდევს საფუძვლად. რადგან ამდენად ადამიანის ფაქტორმა წამოიწია ამ დროს წინა პლანზე, ამიტომ ჰერმან პაული ენათმეცნიერებას კულტურის მეცნიერებას უწოდებს- იქამდე მხოლოდ ენის სისტემის ისტორიული განვითარება იდგა ენათმეცნიერების ცენტრში.

თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევარში ნოუმ ჩომსკის გენერატიული გრამატიკის პოპულარიზაციასთან ერთად ფსიქოლინგვისტური საკითხები ხელახლა მოექცა ყურადღების ცენტრში. „გენერატიული გრამატიკის“ კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ადამიანის უნარი, სასრული ენობრივი ერთეულების კომბინაციით წარმოქმნას და გაიგოს უსასრულო რაოდენობის წინადადება. შესაბამისად ენობრივ კომპეტენციას, ენობრივი ცოდნის მენტალურ რეპრეზენტაციას (თუ როგორ არის წარმოდგენილი ენობრივი ცოდნა ადამიანის გონებაში) ამ თეორიაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის განვითარება დაკავშირებულია ასევე კოგნიტიური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებასთან *kognitiv*<lat.> = შემეცნებას, შემეცნებითი ფუნქციების განვითარება ბავშვში, რომელთა მეშვეობითაც ხდება საგნის აღქმა ან მის(საგნის) შესახებ ცოდნის შექმნა, ანუ საგნის შესახებ ინფორმაციის გადამუშავება.

კოგნიტიური ლინგვისტიკა არის მენტალისტური მეცნიერება ანუ ცნობიერებაზე დამოკიდებული, რამდენადაც ის ენას განიხილავს როგორც კოგნიციაზე ანუ შემეცნებაზე დამოკიდებულ ქვესისტემას (სუბსისტემას).

ფსიქოლოგიის ამ მიმართულებისთვის შესწავლის მთავარი ობიექტია ენასთან დაკავშირებული კოგნიტიური პროცესები და რამდენადაც ენის გამოყენება ინფორმაციის დამუშავებასთან, სხვადასხვა მენტალურ პროცესებთან არის დაკავშირებული, კოგნიტიური ფსიქოლოგიის კვლევის შედეგებს ლინგვისტური პრობლემების ინტერპრეტაციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

10.3. პრაგმალინგვისტიკა

(ლინგვისტური პრაგმატიკა)

სიტყვა *pragma* ბერძნულია, მისი ეტიმოლოგია ანუ ამ სიტყვის ისტორიული წარმოშობა და ძირითადი მნიშვნელობა არის **საქმე, კეთება, ქმედება**, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანი ასრულებს. *ე.ი.* პრაგმატიკა ადამიანურ ქმედებას ნიშნავს.

როდესაც ენის შესწავლა იმ ასპექტის მიხედვით ხდება, რომელშიაც ენობრივი გამონათქვამი გარკვეულწილად მიზანდასახულ, შესასრულებელ ან უკვე შესრულებულ ქმედებას მოიცავს, **ასეთ მიდგომას** ენობრივ ქმედებაზე ორიენტირებული **პრაგმალინგვისტური მიდგომა** ეწოდება. *ამ დროს*

პრაგმალინგვისტიკა არის მოძღვრება ადამიანის ენობრივი ქმედების შესახებ. ქმედება აქტიურობას ნიშნავს, ხოლო ენობრივი ქმედება – ენობრივ ინტერაქციას (ანუ

აქციასა და რეაქციას, მონაცვლეობით ურთიერთზემოქმედებას (კომუნიკანტებს, კომუნიკაციის პარტნიორებს შორის) და გარე სამყაროსთან. ამ მხრივ ენობრივი გამონათქვამები მეტყველის ინტენციის გამოვლინებაა, რომელსაც სურს მეტყველებით (წერით ან ზეპირ ფორმებში) იმოქმედოს - აზრი გამოხატოს, შეატყობინოს თანამოსაუბრეს ან თანამოსაუბრეებს და ა. შ. სწორედ ამიტომ არის შესაძლო ენობრივ ქმედებაზე ლაპარაკი – **sprachliches Handeln, sprachliche Form in Handeln.**

პრაგმალინგვისტიკის მიზანია ენის გამოყენების წესების დადგენა. კომუნიკაციის პარტნიორები ერთმანეთის აზრებს იზიარებენ ან არ იზიარებენ, სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ნათქვამზე., მიანიშნებენ გაგებინების მიზნით კომუნიკაციურ სიტუაციაზე, როგორც არის დრო, ადგილი და ა.შ. ანუ ენის გამოყენების სტრატეგიებსა და სახეებზე.

ნებისმიერი ქმედების შესრულება შეიძლება ითხოვოს ან მოითხოვოს კომუნიკანტმა(მეტყველმა) კომუნიკაციის პარტნიორს (კომუნიკატს/ მასმენელს)სრულიად სხვადასხვაგვარი ენობრივი გამოხატვის ფორმებით:

Der Text ist interessant.

Diesen Text habe ich mit großem Interesse gelesen:

Lies den Text!

Lies bitte den Text

Lies den Text, sonst fällst du in der Prüfung durch

ამრიგად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პრაგმალინგვისტიკა ენას იზოლირებულად კი არ განიხილავს, არამედ გარესამყაროსთან მიმართებაში, ე.ი. კონკრეტულ სიტუაციაში, რომელშიც ენობრივი გამონათქვამი აქტუალიზდება (ამოქმედდება). ამ სიტუაციას ჩვეულებრივ კონტექსტს უწოდებენ.

ამისი წარმოსახვა სქემატურად ასე შეიძლება:

მოსაუბრე/მეტყველი-----ენობრივი გამონათქვამი-----გარე სამყარო

კონტექსტი

თუ ენას ქმედებასთან კავშირში განვიხილავთ, რომელიც ჩვეულებრივ განზრახული აქვს მეტყველს, ამ მხრივ ენა მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება აღვწეროთ: ამრიგად, პრაგმალინგვისტიკა არის მოძღვრება ენის გამოყენების, ენისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების შესახებ.

ხოლო ტერმინი ენის გამოყენება (Sprachgebrauch) კომუნიკაციის პარტნიორების მიერ არის პრაგმალინგვისტიკის ძირითადი, ამოსავალი ცნების აღმნიშვნელი ტერმინი.

პრაგმატიკის ენათმეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამეტყველო აქტების თეორიასთან რომლის ავტორი არის ინგლისელი ენის ფილოსოფოსი ჯონ ოსტინი.

ოსტინმა თავის ლექციების კრებულში „როგორ შევასრულოთ მოქმედებები სიტყვებით“ („How to do things with Words“) აჩვენა, რომ არსებობს მთელი რიგი გამონათქვამებისა, რომლებიც გულისხმობენ რაიმე კონკრეტული ქმედების შესრულებას, ინფორმაციის გადაცემა მათ ფუნქციას არ წარმოადგენს. მათ ოსტინი **პერფორმატივებს** (ინგლ. to perform – შესრულება, განხორციელება) უწოდებს. პერფორმატიული გამონათქვამებია:

ა) ამიერიდან ცოლ–ქმრად გაცხადებთ!

ბ) დღეიდან შინაგან საქმეთა მინისტრად გნიშნავ! d) საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე–2 პუნქტის "ე" და "შ" ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ**: შეიქმნას კომისია...

გ) ღმერთმა დაგვიფაროს წყევლისგან

პერფორმატივების ანალიზის საფუძველზე ოსტინი მივიდა დასკვნამდე, რომ მეტყველების საშუალებით ყოველთვის ვასრულებთ გარკვეულ (სოციალურად რელევანტურ, მნიშვნელოვან) ქმედებებს – ბრძანებას, თხოვნას, მუქარას, ვარაუდს, დაპირებას, მადლობის თქმას და სხვ. ეს ქმედებები ენაში შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ექსპლიციტურად (გამოხატულად), ისე იმპლიციტურად (ფარულად). მაგ. ფანჯრის დაკეტვის თხოვნის შემთხვევაში ექსპლიციტური ვარიანტი იქნება: „გთხოვ, ფანჯარა დაკეტო“ ან „დაკეტე ფანჯარა, თუ შეიძლება“, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირდაპირ სამეტყველო აქტთან. იმპლიციტური ვარიანტი: „ცივა“, „ოთახში ორპირია“, „როგორ არ მიყვარს, ფანჯარა როცა ღიაა“ და სხვ. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არაპირდაპირ სამეტყველო აქტთან.

ოსტინის მიხედვით, თითოეული სამეტყველო აქტი შედგება სამი ქვე-აქტისგან:

1. ლოკუციური აქტი – გულისხმობს მნიშვნელობის მქონე სიტყვის/წინადადების წარმოთქმას, „რაიმეს თქმას“.
2. ილოკუციური აქტი – გულისხმობს რაიმე კონვენციური, სოციალური ქმედების შესრულებას (ბრძანებას, თხოვნას, დაპირებას)
3. პერლოკუციური აქტი – გულისხმობს ილოკუციური აქტის შედეგს (გაბრაზება, გაღიზიანება, დარწმუნება, წყენის, შეურაცხყოფის მიყენება და მსგ.)

ენის პრაგმატული შესწავლა სხვა საკითხებსაც მოიცავს. პრაგმატიკის კვლევის საგანია ასევე *დეიქსისი*, და *პრესუპოზიციები*.

დეიქსისი გულისხმობს მიმართებას ენობრივ ნიშანს და იმ კონკრეტულ საგანს ან მოვლენას შორის რომელსაც ის აღნიშნავს, ან რომელზეც ის მიუთითებს კონკრეტული ენობრივი ქმედების დროს. მაგ., სიტყვა „ის“ არის პერსონალური დეიქსისი, რადგან მიუთითებს კონკრეტულ პირზე (ვთქვათ, ჯონ ოსტინზე), „ხვალ“ არის ტემპორალური დეიქსისი, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ დროზე (ვთქვათ 12.12. 2011ზე), და სხვ.

პრესუპოზიცია არის ინფორმაცია, რომელსაც გამონათქვამი არ შეიცავს, თუმცა მისი ცოდნა/გათვალისწინება აუცილებელია, რომ გამონათქვამის აზრის გაგება გახდეს შესაძლებელი. *პრესუპოზიცია* არის პრაგმატული ცოდნის ნაწილი, წინაპირობა, რომელის საფუძველზეც გამონათქვამი აზრს იძენს. *პრესუპოზიციის* მნიშვნელობა უფრო ნათელი რომ გახდეს, განვიხილოთ შემდეგი ცნობილი წინადადება: *საფრანგეთის ახლანდელი მეფე მელოტია*

ამ წინადადების *პრესუპოზიცია* გულისხმობს, რომ საფრანგეთს მოცემული დროს ერთი კონკრეტული მეფე მართავს. სხვა შემთხვევაში ეს წინადადება არც ჭეშმარიტი იქნება არც მცდარი, უბრალოდ ყოველგვარ აზრს იქნება მოკლებული. იგივე შეიძლება ითქვას წინადადებაზე:

სკოლის დირექტორი მხვდება და მეუბნება: შენი შვილი დღეს ძალიან ცუდად იქცეოდა. ამ წინადადების მთავარი *პრესუპოზიცია* ის არის, რომ მე შვილი მყავს, სხვა შემთხვევაში წინადადება აზრს მოკლებული ან პრაგმატულად არამართებული იქნებოდა (ან დირექტორს სხვა მშობელში შევეშალე).

ამრიგად, პრაგმალინგვისტიკა არის ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელიც იკვლევს ენობრივი კომპეტენციისა და სამყაროს შესახებ ცოდნის, ყოველდღიური გამოცდილების ურთიერთმიმართებას, ის სწავლობს ასევე სოციალურ წესებს, რომლებიც ენის გამოყენებას უდევს საფუძვლად.

10.4. ტექსტის ლინგვისტიკა

ტექსტის ლინგვისტიკა არის ენათმეცნიერული დისციპლინა, რომლის შესწავლის ობიექტი არის „ტექსტი“ – ენობრივი ერთეული, რომელიც უფრო მრავლისმომცველია

ვიდრე წინადადება და რომლის აღწერაც, შესაბამისად, სინტაქსური თეორიის ფარგლებში შეუძლებელია.

ტექსტის ლინგვისტიკას ხანგრძლივი ისტორია არა აქვს. ტექსტის ლინგვისტური შესწავლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექსტის აგების თეორიებს რიტორიკასა და სტილისტიკაში ან ლიტერატურული ჟანრების თეორიებს, მხოლოდ მე-20 საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება. გრამატიკის ძველ სახელმძღვანელოებში ვერ ნახავთ ტექსტისთვის განკუთვნილ ცალკე პარაგრაფს.³

ტექსტის ლინგვისტური აღწერა/შესწავლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის გაგებული/განსაზღვრული ტექსტის ცნება. არსებობს ტექსტის ჩვეულებრივი და მარგინალური ტიპები, ანუ თუ რა არის ტექსტი და რა არის არატექსტი.

დღეისთვის ტექსტის ერთგვაროვანი, ყოველმხრივ მისაღები დეფინიცია არ არსებობს: ზოგიერთი თეორია ყურადღებას ამახვილებს ტექსტის **სტრუქტურის ფორმალურ და შინაარსობრივ ერთიანობაზე**, ზოგიერთი ტექსტს მისი **კომუნიკაციური ფუნქციის მიხედვით განიხილავს**, არსებობენ ასევე თეორიებიც, რომლებიც კვლევისას ორივე ასპექტს ერთნაირად ითვალისწინებენ. კლაუს ბრინკერის მიხედვით ტექსტი არის **ენობრივი ნიშნების კოჰერენტული (შინაარსობრივად და ფორმალური საშუალებებით ურთიერთდაკავშირებული) თანმიმდევრობა**, რომელიც როგორც ერთი მთლიანობა განსაზღვრულ კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებს.

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ეფუძნება შეხედულებას, რომ კომუნიკაციის ძირითადი ერთეული არის არა სიტყვა ან წინადადება, არამედ სწორედ ტექსტი.

ცოდნა ტექსტის **აგებულებისა და ფუნქციის** შესახებ ენობრივი კომპეტენციის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც ვთქვათ ცოდნა მორფოლოგიური ან სინტაქსური სტრუქტურების შესახებ.

ტექსტის **აგებულებისა და ფუნქციის ცოდნაზე** დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ტექსტი გავარჩიოთ წინადადებათა უბრალო მიმდევრობიდან (ვთქვათ, წინადადების ლოგიკურად დაუკავშირებელი მიმდევრობა გარკვეული ტიპის გრამატიკულ სავარჯიშოებში), შეგვიძლია, მოვახდინოთ ტექსტების კლასიფიკაცია, რადგან ჩვენ

³ ისევე როგორც ზოგიერთ თანამედროვე გრამატიკაში. მაგალიათად ეიზენბერგის ცნობილი გრამატიკის სახელმძღვანელო მხოლოდ ორი – მორფოლოგიური და სინტაქსური – ნაწილისგან შედგება.

(არა მხოლოდ შინაარსიდან გამომდინარე) ადვილად ვარჩევთ ერთმანეთისგან მინდობილობის ტექსტს, რომანს ან კულინარიულ რეცეპტს

ცოდნა ტექსტების სტრუქტურის, ფუნქციის და კლასიფიკაციის შესახებ კულტურული კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილიცაა: ჩვენ შეიძლება გვქონდეს ძალიან მდიდარი ლექსიკური მარაგი, კარგად ვფლობდეთ სინტაქსურ და მორფოლოგიურ წესებს, მაგრამ გაგვიჭირდეს გერმანულ ენაზე, ვთქვათ, შუამდგომლობის ან მინდობილობის ტექსტის გადათარგმნა ან შედგენა (როცა ქართულ ენაზე იმავე მოქმედების შესრულება არავითარ სიძნელეს არ გვიქმნის).

ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის მიზანი სწორედ ამ ტიპის ცოდნის შესწავლაა: ის იკვლევს კანონზომიერებებს და ენობრივ საშუალებებს, რომლის საფუძველზეც წინადადებების გარკვეულ მიმდევრობას ერთ მთლიან ტექსტად აღიქვამთ (ე.ი. იკვლევს ტექსტის ფენომენს), ცალკეული ტექსტების აგებულებას (სტრუქტურას), ასევე მათი კლასიფიკაციების პრინციპებს. უცხო ენის შემსწავლელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ტექსტების (ტიპების, სახეობების) აგების კულტურულ თავისებურებების შესწავლა – ტექსტის ასეთი ტიპის კვლევის საგანი შეიძლება იყოს, თუ რით განსხვავდება გერმანული და ქართული თუნდაც კულინარიული ტექსტების სტრუქტურა, ან სამეცნიერო ტექსტებს- მაგალითად, რა თავისებურებები ახასიათებს გერმანულენოვან რეცენზიებს, რეფერატებს, ან როგორ უნდა დავწეროთ მოტივაციის ან აპლიკაციის წერილი გერმანულ ენაზე და სხვ.